№ 157 ივლისი 20 კვირა 1886 ივლისი 20 კვირა, № 157

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს & გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 19 ივლისი

საფრანგეთი დღეს აქამომდე გასტირის მშვენიერს ელზას ლოტარენს, რომელიც წაართვა მას გამარჯვებულმა მტერმა. თვითონ ელზას-ლოტარენიც შემოჰბღავის და შემოსტირის თავის ადრინდელს მამულს—საფრანგეთსა, რომელსაც იგი ძალ-მომრეობით მოაშორეს და რომლისათვისაც ელზას-ლოტარენს ბევრი ჭირი და ლხინი გაუზიარებია და თავისი უკეთესნი შვილნი შეუწირავს საფრანგეთის დიდებულ დღეებისათვის. არა ერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელია საფრანგეთის ისტორიისა შემკული და შარავანდედით მოსილი ელზას-ლოტარენის შვილთა სახელითა, ღვაწლითა და თავ-განწირულობითა. ამიტომაც მას აქედ, რაც საფრანგეთი დამარცხდა პრუსიისაგან, არ არის ერთი ფრანსიელიც, რომ სამაგიეროს გადახდას, ჯავრის ამოყრას არა ჰფიქრობდეს. რომ საქმე ამაზედ მიდგეს, დიდი და პატარა თოფ-ქვეშ დადგება საფრანგეთში, ყოველისფერს გაიმეტებს, არ დაჰზოგავს არც ქონებას, არც სიცოცხლეს, ოღონდ კი დიდის ხნის ჯავრი როგორმე ამოიყაროს, დიდის ხნის წყლული როგორმე გაიმთელოს. მას აქედ ეს თექვსმეტი წელიწადია და საფრანგეთს ერთი დღეც ისე არ გაუტარებია, რომ ამ ჯავრის ამოყრისათვის არ ეზრუნოს და შურის-ძიების დღისთვის მზადებაში არა ყოფილიყოს. აუარებელი ფული შეალია ამ საქმეს, აუარებელი ხარჯი მოახმარა და საფრანგეთში, რომელიც ერთმანეთის მოწინააღმდეგე დასებით დაბზარულია, ერთსაც ხმა არ ამოუღია, ერთსაც არ წაუყვედრებია მთავრობისათვის, ამას რისთვისა იქმთო, რადა ჰღუპავთ ამოდენა სიმდიდრესა, ერის ოფლითა და ჯაფით მონაგარსაო?...

განსვენებული გამბეტა იტყოდა ხოლმე: „ჯავრის ამოყრა ყოველთვის გულში უნდა ვიქონიოთ და ენით კი არას დროს არ უნდა წარმოვსთქვათო.“ აქამდე გულში ხომ ჰქონდა ყოველს ფრანსიელს ეს მისი სანატრელი სურვილი, ხოლო დღეს კი ენითაც აღარ ჰმალავს. დღეს ამას საქვეყნოდ ჰლაპარაკებენ, საქვეყნოდ გაიძახიან. საფრანგეთის პოეტი დერულედი, გამოჩენილი მამულის მოყვარე შვილი, იწვევს საფრანგეთს ხმალი ქარქაშიდამ ამოიღოს და თავისი დამარცხებული სახელი კვლავ ძლევით შეჰმოსოს. „მართალიაო, ამბობს იგი, გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთს უნდა დაუახლოვდნენო, მაგრამ ხიდი კი დაახლოვებისათვის თოფ-იარაღით უნდა გაიდოსო. მთელი ხუთმეტი წელიწადი ისე ვართ, თითქო გერმანიის ვასსალები ვიყვნეთო. დამარცხებულის საფრანგეთის და გამარჯვებულის პრუსიის შორის დღეს რა მოქმედობსო? ერთის მხრით დღე მუდამი მუქარი, მეორეს მხრით განუწყვეტელი თმობა და ულონობის სირცხვილის ჭამაა. სულელობაა გაცმა თავის ერს, თავის ქვეყანას დაუმალოს ბალანსი გაუპატიურებისა, რიცხვი მუხლთა დრეკისა! ომს სამაგიეროს გადახდისას, რომ მარტო პატიოსნება და ინტერესები ითხოვდეს, მაშინაც არ უნდა მოვერიდნეთ. ხოლო მაგისთანა ომი ხომ სიმართლის ომიც არის. როგორ ძავსთმოთ და როგორ დავტოვოთ მტრის ხელში მიღლიონ ნახევარი ჩვენი თანა-მემამულენი, რომელნიც გამოგვგლიჯეს ჩვენ უსამართლობის გულ-ქვაობითაო!“

ამას მარტო დერულედი არ ამბობს; ამას ჰფიქრობს და გულში ატარებს მთელი დღევანდელი საფრანგეთი. თვითონ მთავრობის კაცნიც, რომელნიც ამაებში მუდამ ფრთხილნი და მორიდებულნი არიან, აღარ ჰმალვენ საფრანგეთის გულითადს წადილსა. ეხლანდელმა საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა ბულანჟემ, რომელიც დღევანდლამდე არც კი იცოდნენ ვინ არის, იმით გაიკეთა სახელი და საფრანგეთის ერის საყვარელ კაცად გადიქცა, რომ საცა კი შემთხვევა ჰქონია, ყველგან ასე თუ ისე ეს წყურვილი საფრანგეთისა გამოუთქვამს. დღეს ამ მინისტრს შეჰხარის მთელი საფრანგეთი, დღეს ამ მინისტრისაგან მოელის, რომ საფრანგეთის გამარჯვებულს მტერს არ შერჩება გამარჯვება და დამარცხებული საფრანგეთი კვლავ მოიპოვებს ჩამორთმეულს სახელს და დაკარგულს დიდებასა. ეს ამბები ტყვიასავით გულს სცემია ყოველთვის თვალ ახილებულს ბისმარკსა. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა მოძრაობა საფრანგეთში ტყუილს ფახა-ფუხს არ მოასწავებს. ეგ რომ ეგრე იყოს, ბისმარკი ყურსაც არ გაიბერტყდა. ეხლა კი დიდს საგონებელშია ჩავარდნილი და ეს უტყუარი ნიშანია, რომ საქმე სახუმარი არ არის.

[illegible] საფრანგეთს ძალაც შესწევს ქადილისა, თუ არა? ამის პასუხს ხვალ წარმოვუდგენთ მკითხველსა.

ნ.

ახალი ამბავი

*** გორიდამ გვწერენ შემდეგს ამბავს: „ჩვენი ქალაქი ამსებით-აივსო მოწანწალე და უსაქმურის ხალხით. ესრედ წოდებულის ძველის პოსელენიის“ სამიკიტნო დუქნები ამ უსაქმურის ხალხის ბუდეა. არაფერი საქმე არა აქვთ·რა: მამული არა აქვთ; ხელობა არ იციან; არც ხნენ და არც სთესვენ, «ვითარცა ფრინველნი ცისანი», ამათი ხელობა ჯიბგირობა და დუქნების მტვრევაა; ესენი წვრილმანი ქურდ-ბაცაცები არიან: იპარავენ დუქნებიდამ ქონს, საპონს, ლობიოს, ფქვილს, მარილს,—ერთის სიტყვით ყველა იმას, რაც ხელს მოხვდება. ამ ნაქურდალით გამოდიან იოლად. ღამე ისე არსად არ უნდა იყოს საშიში გავლა გზად, როგორც გორში; ეს მოცლილი ხალხი ქუჩა-ქუჩა დაეხეტება და დაეძებს შემთხვევას. ზოგი მათგანი რამდენჯელმე დაიჭირეს; სასამართლომ რამდენჯელმე გარდაუწყვიტა საპყრობილეში ყოფნა, მაგრამ იქიდამ განსწავლულები გამოდიან და უარესს დღეს აყენებენ აქაურს მკვიდრთა.

ამათ ვერც [illegible] მართლო ვერ გადააშენებს, ვერ მოუღებს ბოლოს. თითონ ამოიჭამენ თავიანთ თავებს. ამ წვრილმან ავაზაკებს სული და გულიც წვრილმანი

ფელეტონი

დემონი

(მიბაძვა)

მე იქ ვნეტარებ, სად ტანჯვას ვხედავ,
სად ბოროტი და სიმუხლილია,
სადაც ღვთის მცნებას არ აქვს ადგილი,
—ქრისტეს მოძღვრება დაკარგულია.

—

მე იქ ვნეტარებ, სად მეფობს შური,
—ჭეშმარიტებას სპობს შხამი, გესლი,
სადაც მზაკვრობას და სიფლიდესა
აღმოუფხვრია სიმართლის თესლი.

—

მე იქ ვნეტარებ, სად ტანჯვის ცეცხლი
ადამიანსა გულს ეკიდება,
და სად სიმწარით სავსეს ფიალსა
სვამს, და ფიალიც კვლავ ევსება.

—

დევნილი ზეცით შხამითა ვსტკბები,
ჩემი სიცოცხლე თვით არის შხამი—
მხოლოდ იგი მძულს და იმასა ვმტრობ
ვისც ერგო ტკბობის თუნდ ერთი წამი.

ვლ. მიქელაძე

1886 წ.

საკვირაო სხარტულა

„არა არს წინასწარ-მეტყველი სამშობლოსა შინა!“—როგორ გამართლდა ჩემი სიტყვები.—როგორ უსახელებიათ თავი ჩვენს „არტისტებს“ ბათუმში?—როგორ მოჰქცევიან ისინი იქაურ საზოგადოებას?—ორიოდე სიტყვა ბ-ნ მოხევეზე.—ეკადრება მას თუ არა მწერლების მასხარად აგდება?—რისთვის ემართება ამ გვარი საქმე ბ-ნ მოხევეს?—უსიამოვნება ქუთაისის კათოლიკეთა მრევლისა და მის მოძღვრის შორის.—რამ გამოიწვია ეს უსიამოვნოება?

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: «არა არს წინასწარ-მეტყველი სამშობლოსა შინაო!» ეს ძველი ჭეშმარიტება გახლავსთ და ამ ჭეშმარიტების სიმართლე დღესაც გამოვსცადე ჩემს თავზე. როცა ამას წინედ, ჩვენებურის ცხოვრების მემატიანის ელდებულობისა გამო, მე მცირეოდენი მოძღვრობა ვკადრე ეგრედ წოდებულთ „ჩვენ არტისტებს“, არ შევიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა ალიაქოთი ასტყდა მათ შორის. არა თუ თვითონ «არტისტები», მათი დამქაშებიც კი—прихвостни,—როგორც იტყვიან რუსები,—ამხედრდნენ ჩემს წინააღმდეგ და მიჰყვეს ხელი იმ უსუსურთა იარაღს, რომელსაც ლანძღვას და ცილის-წამებას ეძახიან ხოლმე. მათის აზრით, მე, არაფერში და არასოდეს არ ვიყავი მართალი: არც მაშინ, როცა ვამბობდი, რომ ისინი უმეცარნი და თავის ხელობისთვისაც უზრუნველნი არიან-მეთქი, არც მაშინ, როცა ვამტკიცებდი, რომ მათი თავხედობა აღემატება მათ უზრდელობას და ეს ორ-ნაირი ნიჰი როცა იქნება გამოიწვევს საზოგადოების უსიამოვნებას და სრულიად თუ არ დაღუპავს,—სახანგრძლივოდ მაინც დააბრკოლებს ჩვენის თეატრის წარმატების საქმესა მეთქი.

დიდი და პატარა, „ანტრეპრენიორიდამ“ „სუფლიორამდის“ აკეთილსუნნელდა ნიორსავით!..

— თუ უზრდელობაზე და უმეცრებაზეა საქმე—მაცალონ ერთი, რა ვუყო მაგ არა-მკითხე მრჩეველსაო! ასეთს «სტატიას» დავაბეჭდვინებ ჩემ გაზეთში, ასეთს, ასეთს, რომ ჰა!.. თავი ვერ გამოჰყოს გარეო! პილპილდებოდა კომიკი-ზიმზიმოვი.

— ეჰა წარწყმედა!.. წყეული! კოქაა! ჭირი! ვაება!..

«ოჰ, თქვე ქაჯებო!.. თქვე აფთრებო!.. გველის წიწილნო!..»

გულზე ხელის ბრაგუნით გაჰკიოდა «ტრაღიკოსი», გარეთუბნელი ჰამლეტი.

— უზრდელობაო!.. არა სასიქადულო ქცევაო!.. ქა, რა მეცოდინება, ღმერთო მომკალი, მაგისთანა ბიჭ-ბუჭებისაო?!.. სწყრებოდნენ ჩემზე «მრისხანენი, წარბ-შეხრილნი!»

მე კი... მე სრულიად ფილოსოფიურად ვუცქერდი ამ წვრილმან თავმოყვარეობათა თარეშობას და.... „პოზიტიურად“ ვამბობდი ჩემთვის.

«გონება ესრეთ ჰშთასძახის
ხმითა მრისხანით მყარითა:
ნუ ჰლუპავ თავსა, ნუ ჰლუპავ
მაგა სენითა მწარითა!
ხოლო «რეგვენი» ესრეთ ჰხმობს
ლმობითა სიტყვა წყნარითა:
შენ მას ნუ უსმენ, იხარე
უმეცრებითა მტკნარითა»...

***

რასაკვირველია, ჯერ უგუნურებამ აჯობა გონიერებას, მაგრამ დღეს კი გონიერებამ სძლია და ლამის კიდეც დაჰლუპოს ბბ. „არტისტების“ საქმე „იმა სენითა მწარითა“. თუ თქვენ, ბატონო მკითხველო, თვალყურს ადევნებდით „ივერიის“ უკანასკნელს ნომრებს, რა თქმა უნდა, წაიკითხავდით იმ წერილებსაც, რომელნიც რედაქციამ მიიღო ბათუმიდამ. ამ წერილების ავტორები ერთხმად და ერთობრივ აძაგებენ იმ უგვან და უზრდელ საქციელს, რომელიც გამოუჩენიათ ბბ. «არტისტებს» ბათუმის ქართველ საზოგადოების წინაშე. თურმე ბათუმშიაც თან წაუღიათ ის ღირსებანი, რომლითაც თავი მოგვაბეზრეს აქ ტფილისელებს: შური, ჩხუბი, აყალ-მაყალი, უზრდელობა, დაურიდებლობა, საზოგადოების მასხარად აგდება და სხვა ამისთანა ლამაზ-ლამაზი ლაზათები!.. პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ორ დასად გაყოფილან, უსათუოდ მისთვის, რომ ჯიბრი გაეწიათ ერთმანერთისათვის,—აბა, ვინ უფრო მალე მოეაბეზრებთ თავს ჩვენს მასპინძლებსაო? ეს მძიმე უღელი ორთავე თანასწორის თავ-განწირულებით გაუწევიათ და კიდეც შეუსრულებიათ თავიანთი სურვილი. ერთი რომ ღამის ათ საათზედ იწყებდა წარმოდგენას, მეორე თერთმეტამდისაც აცდევინებდა საზოგადოებას; ერთი რომ უზრუნველად ექცეოდა როლებს, მეორე სრულიადაც უარ-ჰყოფდა მათ ცოდნას; ერთს რომ ვიღაც ახირებული და უცნობი «არტისტები» გამოჰყავდა სცენაზე, მეორეს მხრით გამოდიოდა თვით ბ-ნი მოხევე და ქ-ნი ანდრონიკოვისა პეპოს და ზიმზიმოვის ცოლის როლებში და სხ. და სხ. თანხმობა და თანა-მოაზრება მხოლოდ ერთში გამოუჩენიათ ორსავე დასს: ერთიც და მეორეც რაც შეიძლება მეტს ფულსა სთხოვდა საზოგადოებას და რაც შეიძლება მეტის შეურაცხყოფით ეპყრობოდა ხოლმე. ბათუმის ქართველი საზოგადოება კი,—არ ვიცი, პროვინციალურის გულ-წრფელობისა, თუ სტუმრის მოყვარეობისა გამო,—არც მასხარად აგდებასა ჰთაკილობდა და ფულსაც არა ჰზოგავდა თურმე. მართალია, ორთავე ჩვენის კორრესპონდენტების წერილებს გულის წყრომა ატყვიათ, მაგრამ კორრესპონდენტები ამ შემთხვევაში, ჩემის ფიქრით, განსაკუთრებითს მოვლენას უნდა შეადგენდნენ. სხვაფრივ

აქვთ: ერთმანერთს სასიკვდილოდ არ ინდობენ. ამას წინად ერთ-ერთმა ამ წვრიმალა ავაზაკმა ბებუთით დასჭრა თავისი ამფსონი, რომელსაც ამხანაგების გულისთვის საქვეყნო ადგილი აქვს გამართული «ძველს პოსელენიაში». ამ თთვეში ისევ წვრიმალა ავაზაკი, რომელიც ადამიანს მოსვენებას არ აძლევდა, რომელსაც წრეულს ირკუტსკის გუბერნიაში გადაუწყვიტეს დასახლება ქუჩებში ხალხის ცარცვა-გლეჯისთვის და მერე კი თავდებით გამოუშვეს,—დიაღ, ეს ავაზაკი ბებუთით მოუკლავს თავის ამხანაგს, ახლად გაავაზაკებულს ყმაწვილს ბიჭს, ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისასა. ისევ ესენი თუ ამოიჭამენ ერთმანერთს, თორემ სხვა ვერავინ დაგვიხსნის ამათის ხელიდამა. კარგი ნუ გეში კია, უნდა მოგახსენოთ.

⁂ წელს წევის სოფლის იარმუკობა კვლავინდებურად ვერ წავიდაო. ძალიან უსიამოვნო და შემაძრწუნებელი ამბები მოხდაო. ვაჭრები ბლომად იყვნენ მოსულნი ქალაქებიდამ და დაბებიდამ, მაგრამ ვაჭრობა არა ჰქონდათო. იარმუკობის დროს რამდენიმე კაცი დასჭრეს; ქურდებმა ხომ საქმე გაგვიჭირვესო; ერთს კაცს, რომელიც სავაჭროდ იყო მოსული, ას-ოცი მანათი მოჰპარესო.

თუმცა მშვიდობიანობის დასაცველად პოლიციის მოხელე იყო ყაზახებით გამოგზავნილი და დიდი ყურადღებაც ჰქონდა მიქცეული, მაგრამ ვერა გააწყორაო.

⁂ ქალაქ გორის ქუჩები ისე დაოღრო-ჩოღროვდაო, რომ არა თუ ბნელა ღამეში, დღეც-კი საშიშია სიარულიო, ერთხელ დაუგიათ ქვა, და ის არის და ისა—გათავდა! მართალია, საქალაქო გამგეობა ღარიბად არის,—მაგრამ საქმე თავისას არ იშლის და შველა უნდა, თუ არაო? ამბობენ, გორის საქალაქო გამგეობას ოქონის ქუჩის გაგანიერება უნდაო; ამის გამო ოქონის ეკკლესიის გალავანი უნდა შეიწიოსო; ეკკლესიას ფულს აძლევენ, რადგან ადგილი მოეჭრებაო.

⁂ ყოველ მხრიდამ უჩივიან საქონლის ჭირს, თურქულს და უმეტესად გორისა და დუშეთის მაზრიდამ. ეს ავად-მყოფობა არ არის ძალიან საშიში, რადგან საქონელს არა ჰხოცავს, ხოლო ისე დაასუსტებს ხოლმე, რომ კარგა ხანს მუშაობისათვის გამოუსადეგარია. საქონლის ამ გვარი ავად-მყოფობა ამისთანა დროს, როდესაც ცხარე მუშაობაა, გლეხს ძალიან აწუხებს. ხან-და-ხან ისე უძლიერდება საქონელს თურქული, რომ ჩლიქებს აგდებინებს. პირუტყვთა ექიმები ურჩევენ გლეხებს, რომ ხშირად დაჰბანეთ ხოლმე პირუტყვს ცივის წყლით ფეხებიო, მაგრამ ეს საშუალება გლეხებს არა სწამთ და საქონლის მორჩენა ბუნების მკურნალის ძალისათვის მიუნდვიათ.

⁂ სოფ. ახალქალაქიდამ გაზ. „ახ. მიმოხ.“ ერთს სამწუხარო ამბავსა სწერენ. მცხოვრებლების აღწერის დროს ძალიან გაჭირვებულნი არიან აქაური გლეხებიო. მცხოვრებლების აღწერის დაწყებასთან ჩვენს მამასახლისებს, გზირებს, სოფლის მოსამართლეთ და სხვა მოხელეთ აღდგომა უთენდებათო. ეს ვაჟ-ბატონები მთელს სოფელსა ჰყვლეფავენ და მიზეზად იმას იდებენ, რომ რასაც თქვენ გართმევთ, ყოველივე ეს მოსულს „მოხელეს“ უნდაო. ამას წინადაო, ამბობს გაზეთის კორრესპონდენტი, მე მომიხდა ერთს სოფელში ყოფნა, რომელიც რკინის-გზის ახლოაო. სამუშაო დღე იყო, მაგრამ მთელს სოფელში არავინა მუშაობდა, ყველანი კაკლის ხეების ქვეშ მოგროვილიყვნენ და მათი „მრავალჟამიერის“ ხმა შორს მინდორზე გაისმოდაო. შეზარხოშებული ოსი-ჩაფრები რაც შაეძლოთ დახტოდნენ და ამოღებულს ხანჯლებს ჰაერში ატრიალებდნენო. მე გამაკვირვა ამ ამბავმა და პირველს შემხვედრს გლეხის დედა-კაცსა ვკითხე, რა ამბავიამეთქი და ის მიპასუხა, რომ მცხოვრებლების აღწერააო. არ არის მთელს გორის მაზრაში იმისთანა სოფელი, რომელსაც ეს აღწერა 30—50 მანათი არ დუჯდესო. ხშირადა ხდება, რომ საბრალო მოხელე, რომლის გამოც მცხოვრებელთ ჰყვლეფავენ, მშიერი ჰზის და მამასახლისები, გზირები, მედუქნეები, დიაკვნები და ყველა ის პირნი, რომელნიც სოფლელების თვალში რაღაცა დიდი-ბატონები ბრძანდებიან, ქეიფობენ დღე და ღამე და დროებას ატარებენო. მე ნამდვილად შევიტყეო, ამბობს წერილის მომწერი, რომ ერთს სოფელში, რომელშიაც მოხელე ორი დღე ყოფილიყო, სოფლის მოხელეებს მარტო 11 მანათი ჩაი-შაქრის ფული უანგარიშნიათ სოფლისათვისაო. მეორე სოფელში, სადაც 200 კომლამდე გლეხია, კომლზე მოხელეთ თითო ქათამი მოეგროვებინათ და ამას გარდა საზოგადოების ხარჯზე ორი კოკა (რაც სულ ცოტა 200 ბოთლს შეადგენს) ღვინო ეყიდნათო.

⁂ სურამის უხელ-ტეხილზე გვირაბის გაყვანის საქმეს უკვე იწყობენ. 14 ივლისს ტფილისიდგან წასულან ინჟენერები [illegible], რუინა და სალიინა, რომელნიც ბეჟათუბნის რკინის გზის სადგურიდამ დაიწყებენ მუშაობას და მეორე დასი ინჟენერებისა-კი, რომელიც ამ დღეებში აპირებს წასვლას და რომელშიაც არიან ინჟენერები დარაგანა, კამბიაჯიო 2-რე ვილლერა და პეტრესოვი, ხაშურის რკინის გზის სტანციიდამაო.

⁂ მეტად უჩივიან დახურულს ბაზრის მედუქნეების წრეს-გადასულს საქციელს. მანდილოსანს არ გაატარებენ თურმე ზემოხსენებულს ბაზარში, დანახვის უმალვე კალთებში სწვდებიან და ეპატიჟებიან თავიანთ დუქანში. ამის გამო თურმე ხშირადა ხდება ჩხუბი და ერთი აყალ-მაყალი, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან თურმე. ვერაფერმა ღონემ ვერ შეალაგმა მათი ამ გვარი უზნეო საქციელიო, შემოგვჩივიან ჩვენ. ნუ თუ პოლიცია ყურადღებას არ მიაქცევს ამ გარემოებას?

⁂ მთაწმინდის ერთს ქუჩაზედ თურმე ისე დღე არ გავა, რომ ჩხუბი და ერთი ყვირილი არ იყოს, მაგრამ მშვიდობიანობის ჩამომგდები არავინ არისო. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ქუჩაზედ დანიშნულს პოლიციის ჯარის-კაცს მეტად დიდი მანძილი აქვს სათვალყუროდ მინდობილი და ვერ ასწრობს ყველგან ყურის გდებასაო. ერთს ბოლოზე რომ ის იყოს და მეორე ბოლოზე კაცის-კვლა მოხდეს, ვერაფერს გაიგებსო. მაგალითებრ, წარსულს სამშაბათს შუაღამისას მთელს ქუჩაზედ ერთი ყვირილისა და ჩხუბის ხმა გაისმოდა, ბევრი უძახეს პოლიციის მოხელეს, მაგრამ არსად გამოჩნდა. დასასრულ თვით მცხოვრებელნი იძულებულნი იყვნენ ლოგინიდგან წამომხტარიყვნენ და წესიერება ჩამოეგდოთ მოჩხუბართა შორისაო.

⁂ 16 ივლისს, ვერაზედ, ოლგინსკის ქუჩაზედ, პოლკოვნიკ წილოსანის შენობასთან, ვიღაცეებს მიუგდიათ სამის კვირის დაბადებული ყმაწვილი-ქალი. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტშია გაგზავნილი.

⁂ პოლიციის მოხელეთ, 6-სე უბანში ქალაქის ექიმის ბახუტოვის დახმარებით გადაუყრევინებიათ 14, 15, 16 და 17 ივლისს 6 ურემი მკვახე საზამთრო და ნესვი.

⁂ ტფილისის პოლიციის გამგეობაში მიუტანიათ ცხენის-რკინის გზის ვაგონში ნაპოვნი ქისა 3 მანათ და 59 კაპეიკ ფულად და ერთი ვერცხლის სამაჯური. დამკარგველთ შეუძლიანთ მიიღონ ხსენებულს გამგეობაში, თუ ნამდვილს საბუთებს წარადგენენ, რომ დანაკარგი მათ ეკუთვნით.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ქვემო-ჭალა. ს. ქვემო-ჭალა გორის მაზრაშია და გაშენებულია მდ. ლეხურის ორთავ ნაპირებზედ. სოფელი არ არის დიდი, სულ ორასამდე მოსახლეა. ქვემო-ჭალა შემოზღუდულია ვენახებით და წყლებით, და ამის გამო მართლა და მშვენიერს სურათს წარმოადგენს გაზაფხულობით. ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი აქაურის გლეხებისა მართლა რომ სამაგალითო არის. მკვიდრნი ქვემო-ჭალისა ისე არ არიან ზნეობა დაცემულნი, როგორც ჩვენ-და საუბედუროდ, ზოგიერთა სოფლებში ვხედავთ. აქ იშვიათად გაიგონებს ადამიანი უწმაწურს და უმართებულო სიტყვებს და ჭორებს. ჭორიკანობას ჩვენს მანდილოსნებს უჩივლოდით; ამათ ხელი აიღეს დღესა და ვაჟ-ბატონებმა დაიწყეს.

მცირედის ნაწილის გარდა, მკვიდრნი ამ სოფლისა სულ საბატონონი არიან. აქ ბატონი ცდილობს ხოლმე თავისი გლეხი დაიფაროს [illegible] გაშორ-

---

ძნელი ასახსნელია, თუ კი ბათუმის საზოგადოება მართლა შეურაცხ-ჰყოფილი იყო ბბ. „აქტიორების“ მოქმედებით და შეგინებულად ჰგრძნობდა თავის თავს, თავის ქისას მაინც რატომ აღარ მოუჭირა ხელი? სხვა ქალაქებში ამ გვარ ქცევისათვის არა თუ ფულს არ მიართმევდნენ უზრდელ სტუმრებს,—დამპალ ვაშლებით და დამჩვალ კატებითაც აუვსებდნენ სცენას. შესაძლოა, არც ამ გვარი გადაჭარბება ვარგოდეს, მაგრამ რას იზამ, როცა სხვაფრივ ზოგიერთების მორჯულება შეუძლებელია? ყველას იმ ენით უნდა ელაპარაკო, რომელიც მას ესმის და გაეგება!..

⁂

შესანიშნავია, სხვათა შორის, ბათუმელის კორრესპონდენტის შემდეგი სიტყვები:

> „მეტად სამწუხარო გარემოებად უნდა ისიც ჩაითვალოსო, ამბობს იგი, რომ მოხევე, თვითონ მწერალი, არავითარს პატივს არა სდებს თავისვე თანამოძმის, მწერლის,—საყვარელ მწერლის შრომასა. მოხევეს ჰპო ფრუტუნით ავად-მყოფ ცხვარს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე კაცს და დიდი აღტაცებაც აღძრა გალერეაში. გული გიწუხს, როდესაც პატიოსან და ნიჭიერ მწერლის ასე შეუბრალებლად წამებას ჰხედავო“...

ბ-ნ მოხევეს სასცენო ნიჭის ამ გვარი დაფასება პირველი არ არის. ჩვენმა გაზეთმა დიდი ხანია წარმოსთქვა მასზე სწორედ იგივე აზრი, რომელიც შეუდგენია ამ „ვითომ და არტისტზე“ ჩვენს ბათუმელ კორრესპონდენტს. პირველია აქ მხოლოდ ის, რომ არა-სასიქადულო აზრი ბ-ნ მოხევეს ხელოვნებაზე წარმოთქმულია პროვინციალურის საზოგადოების წარმომადგენელისაგან. როდესაც ჩვენ ვსთქვით ის, რასაც ამბობს დღეს ეს უკანასკნელი, კიცხვას და მითქმა-მოთქმას ბოლო აღარა ჰქონდა. ბბ. „არტისტები“ სულ იმის ლაპარაკში იყვნენ, რომ ჩვენ უსამართლოდ ვეპყრობით „დამსახურებულს არტისტს“, რომ ჩვენ ვითომ და შური და მტრობა გვალაპარაკებდა მის წინააღმდეგ; თითქო რამე გასაყოფი გვქონდეს ბ-ნ მოხევესთან, თითქო იმ „პრასა-ნიახურის გვირგვინს“, რომელიც მან მოიპოვა სცენაზე სამსახურით, შეეძლოს აღძრას ვისიმე მტრობა და შური?!..

⁂

ხოლო რაც შეეხება მწერლების და განსაკუთრებით „საყვარელ მწერლების“ მასხარად აგდებას, აქაც ერთი რამ უნდა ვსთქვათ ბ-ნს მოხევეს საგულისხმოდ. როცა ჩვენ, ნათლად აღიარებული საჭიროებისა გამო, შევეხეთ მის სასცენო ნიჭს და ერთგვარს მოქმედებას, თვითონ ბ-ნი მოხევე, ისე როგორც მისივე თაყვანისმცემელნი, სულ იმას გაიძახოდნენ, რომ მწერლის პატივსაცემი სახელი შეუბღალავი უნდა იყოს, რაგინდ გასაკიცხიც იყოს იგი სხვა მხრივაო. ამ ლოღიკით გამოდიოდა, რომ მწერალს ყოველისფერი უნდა მიეტევებოდეს, რადგან იგი მწერალია. თუმცა, რასაკვირველია, ცოტა არ იყოს, გასაოცარია ამ გვარი აზრი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამას თვითონ მწერალი ამბობს, მაგრამ ჩვენ მაინც და მაინც არ ავუხირდებოდით მას, რომ ის ვაჟ-ბატონები, რომელნიც ამ გვარ ფარ-ხმალს ჰხმარობენ თავის მოსაგერებლად, არ ივიწყებდნენ სხვა მწერლების პატივისცემასაც. და ამ პატივისცემის ღირსნი ხომ ისინი უფრო არიან, რომელნიც მწერლობაშიაც იღწვიან სასიქადულოდ და სხვა ფრივაც ღირსეულად უჭირავსთ თავი. ბ-ნი მოხევე კი, როგორც სჩანს მის მოქმედებისაგან და როგორც შენიშნა თვით ბათუმელ კორრესპონდენტმაც, სულ სხვა ნაირად ეპყრობა სხვა მწერლების სახელებს: თითქო განგებ იმისთვის მოღვაწეობდეს სცენაზე, რომ უფრო მოხერხებულად დაამციროს იგინი საზოგადოების წინაშეო..

ნუ თუ-ეს ყოველისფერი იმდენად სამწუხარო მოვლენა არ არის, რომ მიექცეს მას საყოველთაო ყურადღება? ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რომ ამ საგანმა დააფიქრა ჩვენის პროვინციის მოწადმართე ხალხი და მხოლოდ ვისურვებთ, რომ მათმა გულის-წყრომამ უფრო მეტი ზედ-მოქმედება იქონიოს, ვინემ ჩვენსას ჰქონდა.

ბ-ნ მოხევეს გასამართლებლად თუ არა,—შესაწყნარებლად მაინც, ურიგო არ იქნება ვსთქვათ აქ, რომ მისს დანაშაულობაში სხვები უფრო არიან მონაწილენი.—„შავი თეთრთან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“, ნათქვამია. და იგი კი ბედმა, საუბედუროდ, იმ გვარ ხალხში ჩააბა, რომელსაც არავითარი პატივისცემა არა აქვს მწერლებისა, თუმცა მათის ნაღვაწით კი ჰპოულობენ ლუკმა პურს. სხვისი მაგალითი მეტად გადამდები გამოდგა, ხოლო ხასიათის სიმტკიცე არსად იყო, რომ რამე წინააღმდეგობა გაეწია მისთვის...

⁂

რადგანაც საყვედურით დავიწყეთ ეს ფელეტონი, სჯობს ისევ საყვედურითვე გავათავოთ..

ამ ცოტა ხანში რამოდენიმე წერილები მოგვივიდა ქუთაისიდამ იქაურ კატოლიკეთაგან... საუბედუროდ, ამ წერილების დაბეჭდვა, მიზეზისა გამო სხვისა-და-სხვისა, შეუძლებლად დაინახა რედაქციამ. მაგრამ თვით საქმე, რომლის გამოც ლაპარაკობენ წერილები და რომლის მეოხებითაც გამოწვეულია ზემოხსენებული საყვედური, იმდენად საყურადღებოა, რომ ვფიქრობ მეტი არ იქნება ითქვას აქ მასზე რამოდენიმე სიტყვა.

თავი და თავი მიზეზი უსიამოვნობისა, რომელიც ჩამოვარდა თურმე მწყემსის და სამწყსოის შორის—სკოლაა და საეკკლესიო ფულები. წერილების ავტორები სჩივიან, რომ ჩვენი სკოლა თავის დღეში არ ყოფილა ისე მივიწყებული და უზრუნველ-ყოფილი, როგორც ეხლა არისო, თუმცა მატერიალურის მხრით მას არაფერი არ უნდა უშავდესო. სკოლის შენობა ვიწრო და უვარგისია და არც არავინ ჰფიქრობს მის შეკეთებას... ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, რომ ზამთარს ოთახებს მაინც ათბობდნენ და ყმაწვილები შეწუხებულნი არ იყვნენ სიცივისაგანაო. ამ გვარი უზრუნველობა სკოლის შესახებ მით უფრო გვაკვირვებსო, გვწერენ, რომ, თუმცა გ—ი ხუთმეტ ოთახიან სახლში მარტოდ-მარტო სდგასო, მაგრამ მაინც არ შეასრულა სკოლის კამიტეტის თხოვნა და არ დაუთმო სკოლას ორიოდე ოთახიო...

⁂

იგი ზრუნავს, რომ შემოსავალი სინდიკების და კამიტეტის წევრების ხელში კი არა, მის განკარგულებაში იყოს სრულიად. ეს უკანასკნელი გარემოება უმთავრესი საგანია თურმე განხეთქილებისა, რადგანაც კამიტეტის წევრები ძალიან უარს არიან დაუთმონ ვისმეს ის, რაც თავის მოვალეობად მიაჩნიათ მრევლის და საზოგადოების წინაშე.

ეს გახლავს და ეს სულ „საქმის გარემოება“, როგორც იტყვიან ხოლმე სამსჯავროებში.

რასაკვირველია ჩვენ ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, თუ რამდენად მართალნი არიან ჩვენი კორრესპონდენტები, თუმცა მეორეს მხრით ისიც უნდა დავუმატოთ, რომ... ამ გვარს შემთხვევაში ერთი-და გზაა სიმართლის შეტყობისათვის: ორივე მხარესი, მომჩივანთა და მოპასუხების, მოსმენა. მომჩივნების ჩვენება ჩვენ უკვე მოვიყვანეთ, ვნახოთ რას იტყვიან მოპასუხენი?

ხოლო რაც უნდა სთქვან მათ, ერთი მაინც ცხადია, რომ ეს საქმე, რომელზედაც დამოკიდებულია არა მარტო ათის და ასის ინტერესები, სრულიად ღირსია, მიიქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

ილია ხონელი

გებისაგან. გლეხიც თავის მხრივ თავის გაჭირვებას და უსიამოვნებას როცა-კი მას მეზობელთან შეემთხვევა, ბატონს შესჩივლის. ბატონი გლეხებს შინაურულად მოარიგებს და დაამშვიდებს ხოლმე. საზოგადოდ აქაური მებატონეები სამაგალითოდ მოქმედებენ; ამიტომაც გლეხების ერთიერთმანეთზედ საჩივარი იშვიათია.

არც სასოფლო სკოლა აკლია ქვემო-ჭალას. იგი დაარსდა 1881 წ. გენერალის ივანე გივის-ძეს თ. ამილახვარის თაოსნობით, რომელმაც შესწირა სკოლას ათი დღიური სარწყავი მიწა და რომელიც დღესაც სკოლის ხელშია. რაკი დავიწყე, ბარემ დაწვრილებით გავაცნობ მკითხველს ქვემო-ჭალის სკოლის ავ-კარგიანობას. 1881 წ. სკოლას არა ჰქონდა საკუთარი სახლი; ამიტომ დროებით დაიქირავეს. მასწავლებლად დანიშნეს გორის სამასწავლებლო სემინარიაში კურს შესრულებული მ. რცხილაძე, რომელსაც პირველ ხანებში დიდი შრომა დასჭირდა; ბოლოს და ბოლოს-კი თავის მეცადინეობით მკვიდრს ნიადაგზედ დააყენა სკოლის საქმე. სამის წლის შემდეგ რცხილაძემ აქ თავი დაანება და სხვაგან გადავიდა. მის ნაცვლად მასწავლებლად დანიშნეს ზემოხსენებულს სემინარიაში კურს შესრულებული ნ. ლეონიძე.

შეგირდები თან-და-თან მოემატნენ. ბოლოს პატარა ქალებმაც დაიწყეს სიარული, ასე რომ ამ უკანასკნელს წელს შვიდი ქალი დადიოდა; იმედია, რომ მომავალს წელიწადს რიცხვი მდედრობითის სქესისა ოც-და-ათს აღემატება. სკოლაში მოზდილი შეგირდებიც ერივნენ; ამიტომ ლეონიძემ წარმოდგენები გამართა; ყმაწვილები წარმოდგენის შემდეგ კითხულობდნენ ჩვენის პოეტების საუკეთესო ლექსებს; ბოლოს წარმოდგენა თავდებოდა სიმღერით და ლეკურით. ყმაწვილების წარმოდგენებს თანა უგრძნობდა როგორც თავად-აზნაურობა, აგრეთვე გლეხობა: სკოლის დარბაზი მაყურებლებით ივსებოდა ხოლმე. წარმოდგენებიდამ ნაშოვნი ფულებით რამდენიმე წიგნი შეიძინეს პატარა ბავშვებმა-აქტიორებმა.

ბ. ლეონიძემ შეადგინა ქართული ხორო. მგალობლები კვირა-უქმე დღეებში გალობენ ხოლმე მთელის წირვის საგალობელს. ქართულმა გალობამ და ადგილობრივ მღ. მიხეილ მახათაძის ქადაგებამ ხალხი მიიზიდა და ეკკლესიაში სიარული დაიწყეს. ყოველ დიდს დღესასწაულებზედ ტაძარი ხალხით აივსება ხოლმე.

თიბათვის პირველ რიცხვებში ქვემო-ჭალის სკოლაში ეგზემენიებზედ დაესწრო ადგილობრივი თავად-აზნაურობა თავიანთის ოჯახობით; დიდის სიამოვნებით უსმენდნენ კურს შესრულებულ პატარა გლეხების სიტყვა-პასუხსა. წელს სამმა ძალიან ნიჭიერმა მოსწავლემ შეასრულა სწავლა.

დამაკვირდი!

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა,
დამბერველ ეშხის ცეცხლისა,
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი
უზომო სიყვარულისა. (გრ. ორბელიანი)

—

თავის მამულში კაცს გაჭირება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის ჰასუხი ესმის!
(თ. ნ. ბარათაშვილი)

—

ხედავთ ამ სოფელს დაუნდობელს, ვით დამწვა გული,
მლიქვნელის ენით დამონებით მიპყრა სალ-გული;
ტყვეთ მიმცა ჭირსა გასაჭირსა, მყო დაკარგული,
აწ ცრემლით ვჩივი და ვერვისთვის შემასმენია.
(ალ. ჭავჭავაძე)

—

რა გინდ ბრძენ იყოს მკურნალი,
კარგად ატყობდეს მაჯასა,
სხვისას შეიტყობს, თავისას
ვერას გაიგებს ხვაჯასა.
(თ. დავ. გურამიშვილი)

—

ბუნებით უგზო, უგვანო
კაცი უგვაროდ შობილი,
რაგინდ ეცადოს სწავლასა,
არ შეიქმნების ცნობილი!
(მეფე ვახტანგ VI)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ გერმანიის კანცლერმა ამას წინად ერთი მეტად სასტიკი და შეუბრალებელი საშუალება იხმარა პოზნანის პოლშელების წინააღმდეგ. ბისმარკს ჰსურს ასე თუ ისე გაანემეცოს პოზნანი და აი ამის მისაღწევად იგი ყოველ ნაირს საშუალებას ხმარობდა ამდენ ხანს, მაგრამ როცა არც ერთმა მათგანმა არ გასჭრა, გამოიგონა ის ახალი ბარბაროსული საშუალება, რომელიც ნახსენებია ზემოდ. რა საშინელს მდგომარეობაში უნდა იყვნენ ეხლა ეს საცოდავნი სიმშობლოდამ განდევნილნი პოლშელები ადვილი წარმოსადგენია. ადვილი მისახვედრია ისიც, თუ რა სახელი უნდა დაერქვას „რკინის კანცლერის“ მოქმედებას ამ შემთხვევაში. „ეს წმინდა ბარბაროსობა და კაცობრიობის შეურაცხჰყოფაა, რომელსაც უსათუოდ უნდა მოელოს ბოლოვო“, —ამბობს „Русскій Курьеръ“-ი და შემდეგ განაგრძობს:

> რა დაემართებოდა ევროპას, სხვა სახელმწიფოებსაც რომ მიებაძა გერმანიისათვის და განედევნა თავის ქვეყნიდამ ზოგიერთი ათვალწუნებული ხალხები? სად უნდა შეეფარათ თავი ამ საცოდავებს, ან და რით და რა საშუალებით უნდა გამოეკვებათ თავი დევნილებს?.. ჩვენს სახელმწიფოსაც, მაგალითად, გერმანიის კანცლერისავით, რომ უარ-ეყო ყოველი კაცთ-მოყვარული გრძნობა და განედევნა რუსეთიდამ ჩვენში გადმოსახლებულნი ნემეცები, სად წავიდოდნენ ესენი? ნუ თუ ისევ თავის მწირსა და მშიერს „Yaterland“-ში, (სამშობლოში) საიდამაც თვითონვე ასობით და ათასობით მირბიან უცხო ქვეყნებში?

როგორ უნდა მოეღოს ბოლო სამუდამოდ იმ გვარს უკიდურესს მდგომარეობას, რომელიც ეწვია ამ ქამად პოლშელებს? რა საშუალება უნდა მოიგონოს კაცობრიობამ, რომ გადაარჩინოს მცირე ერნი იმ საშინელ შედეგისაგან, რომელიც მოჰსდევს პოლიტიკურს ბარბაროსობას? ამ სენისთვის წამლის დადება, გაზეთის სიტყვით, ევროპის სახელმწიფოთა კონგრესის საქმეა.

> უწინარეს ყოვლისა, ამბობს გაზეთი, ამ კონგრესმა უნდა დაადგინოს, რომ ყველას,—ერი იქნება, თუ კერძო პირი,—ნება ჰქონდეს გადასახლდეს იქ, სადაც მას ესურვება, ერთი სახელმწიფოდამ მეორეში. მეორედ, უნდა აღიაროს და განმტკიცოს სამღვთო უფლება ყოვლის ადამიანისა დარჩეს და იცხოვროს უშიშრად თავის ღვიძლს და სამშობლო ქვეყანაში. კონგრესის ამ გვარი გადაწყვეტილებისა გამო, ათავებს გაზეთი, ის საშინელი ომები, რომელიც აუცილებლად ელის ევროპას მომავალში, სრულიად უმიზნო და, მაშასადამე, შეუსრულებელნიც იქნებიანო.

ეს ყოველისფერი კარგია, რასაკვირველია, რომ ადვილი შესასრულებელიც იყოს.

⁂

მთელი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა ლაპარაკობს ამ ქამად რუსეთის გამოჩენილ მოგზაურზე, მიკლუხა-მაკლაიზე. ამ მოგზაურმა ამას წინად გამოაცხადა გაზეთით, რომ ვისაც გინდათ გადმოსახლება ახალ-გვინეიაში, მაცნობეთ და წაგიყვანთო. მსურველები ბევრნი გამოჩნდნენ, თუმცა ზოგიერთი გაზეთები დასცინიან მათ უმოწყალოდ. სხვათა შორის, ბ-ნ ბუკვას, მეფელეტონეს „Русскій Вѣдомости“-სას, შემდეგი წერილი მოჰყავს, რომელიც ვითომ უნდა გაეგზავნოს მიკლუხასათვის ერთს „მეტს და გამოუდეგარს კაცს“:

> მე არ წაგართმევთ ბევრს დროს, მოწყალეო ხელმწიფევ, იწერება „მეტი კაცი“. გამოგადგებით თუ არა რამეში, ეს მე თვითონ არ ვიცი. ხოლო თქვენზე კი, თქვენის წერილის შემდეგ, მე ბევრი ვიფიქრე და ვფიქრობ კიდეც.
>
> მე სრულიად მეტ კაცად ვგრძნობ თავს აქ, სადაც დავიბადე. ეს დიდი უბედურებაა, ბ-ნო მიკლუხა. თქვენთვის ეს, რასაკვირველია, უფრო გასაგებია, მისთვის, რომ თქვენ პირველი გაექცით უჩასტკებს, არისტონებს და სხვა-და-სხვა ამ გვარ რამეებს.
>
> მე მაქვს თავი, რომელსაც აღუკრძალე იფიქროს, მაქვს გული, რომელიც არავისთვის არა სძგერს, მაქვს ხელები, რომელნიც სრულიად გამოუდეგარია ჩემთვის და სხვისათვისაც. ვირიცხები „განათლებულთა“ შორის. მე ხან-და-ხან მგონია, რომ ხელ-მეორედ იქნება წარღვნა და კაცობრიობა დაიღრჩება ფურთხის მორევში. ჯერ-ჯერობით როგორცაა ვიკავებ თავს იმით, რომ ვზრდი და ვწვრთავ მგალობელს ჩიტებს. სამი წელიწადი ვიყავი ჰეიდელბერგში. თქვენ გაქვსთ მუდამ ლაჟვარდი ცა, მუდამ ბრწყინავი მზე, მოსვენება, სივრცე და თავისუფლება.

რუსეთი

— სამეცნიერო აკადემიის წესდებულების შეცვლაზე ზრუნავენ ამ ჟამადაო. ეს წესდებულება ამ 50 წლის წინად არის შედგენილი, ძალიან დაძველდა და ეხლანდელს დროს სრულიად აღარ ეშესაბამებაო. თუმცა დრო გამოშვებით ივცვლებოდნენ ზოგიერთნი მისნი მუხლნი, მაგრამ მაინც ნახევარზე მეტი მათგანი ძალაში იყოო. აკადემია გაივსო ნემეცებითა და ბოლოს იქამდე გაკადნიერდა, რომ რუსეთის მსწავლულების წინააღმდეგ შეიქნა და ისეთი გამოჩენილი მეცნიერი, როგორიც არის პროფესორი ქიმიისა მენდელეევი, არ მიიღო წევრადაო.

— 1883 წელს სხვა-და-სხვა ჭირნახული გაუგზავნიათ რუსეთის შავის-ზღვისა და აზოვის ზღვის პორტებიდამ საზღვარ გარედ 15 მილიონი ჩეტვერტი. 1884 წ.—15$^{1}/_{2}$ მილიონი, 1885 წ.—17 მილიონამდე.

ამას დაუმატეთ, რომ კავკასიის პორტებიდამ ამ სამს წელსავე 500,000 ჩეტვერტი იქმნა გატანილი, გამოვა, რომ ორთა შუა რიცხვით სამხრეთს რუსეთს 16 მილიონი ჩეტვერტის სხვა-და-სხვა ჭირნახული, პური, ქერი და სიმინდი გაუსაღებია და გაუგზავნია საზღვარ გარედაო.

— ერთს ქარხნის მუშას პეტერბურგში უჩივლია მომრიგებელ მოსამართლესთან ამ ქარხნის გამგეობაზე. 15 წელიწადია, რაც ქარხანამ შემოიღო თითო-კაპეიკობით ეგროვებინა ფულიო, არ ვიცი კი რისათვისაო; მე ეს განკარგულება ქარხნის დირექტორისა უკანონოდ და უსამართლო განკარგულებად მიმაჩნიაო. ჩემის ანგარიშით, სულ 75 მან. არის ჩემგან ამ გვარად წაღებულიო. თურმე თუ ამ მუშამ მოიგო საქმე და თავის ფული დაიბრუნა, სხვებიც იჩივლებენო. ერთად რომ თავი მოუყაროთ, რაც ამ სხვებს ერგებათ ქარხნიდგან, გამოვა, რომ ქარხანამ უნდა გადაიხადოს სულ 100,000 მანათიო.

უცხოეთი

ინგლისი. ყველანი თითქო ომის მოლოდინში არიანო. თვითოეული სახელმწიფო გაფაციცებით დაეძებს მომხრეებს, გაფაციცებითვე სინჯავს და ათვალიერებს თავის თოფ-იარაღს, ხომალდებს და ყოველ გვარ კუთვნილებას შეთოფ-იარაღებისა და აღკაზმა-დარაზმულობისას. ინგლისმა ყურადღება თავის ძლიერების თავსა და ბოლოს, თავის ფლოტის მდგომარეობას მიაქცია. გაზეთი „Times“-ი ამბობს თურმე, რომ სამხედრო ხომალდები კარგად არ არიან შეჭურვილნიო. ინგლისის სხვა გაზეთები იმასა სჩივიან კიდევ, რომ ჩვენს ქარხანებზე ვერაფერს საიმედო ზარბაზნებს აკეთებენო, ბევრი მათგანი სრულიად გამოუსადეგარნი აღმოჩნდებიან ხოლმეო. რამდენიმე მაგალითი ყოფილა, რომ სამხედრო ხომალდის კაპიტანს ვერაფრად ვერ გამოუყენებია თავის ხომალდის ზარბაზნები. რამდენი ხომალდი კია ამ ხომალდებში ისეთი, რომელიც გუშაგად გვიყენია სადმე შორს და მისთვის მიგვინდვია დიდის ბრიტანიის ფრიად-საყურადღებო ინტერესების დაცვაო.

მაშინებისა და რკინა-ფოლადეულობის წარმოებაში ჩვენ ბადალი არა გვყავს და ზარბაზნებს კი ისე უხეირულად ასხამენ ჩვენი ქარხნები, რომ, ვინიცობაა, ომი შეგვემთხვა, იძულებულნი ვიქნებით ბ-ნ კრუპპეს მივმართოთ და ვსთხოვოთ შემწეობა მოგვცეს ჩვენის ეროვნულის არსებობის დასაცველადაო.

საფრანგეთი. საფრანგეთის გაზეთებიც სულ ჯარის შეთოფ-იარაღებაზედ ლაპარაკობენ. რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაურიგდეს ყველას მსწრაფოლ-სასროლი თოფებიო, ისეთი თოფები, რომლებსაც რამდენიმე ათი და ხან მეტი სროლა ტყვია წამალი შიგვე აქვს მზადა, ისე რომ ერთს წუთს შეიძლება ათჯერ და ხუთმეტჯერ დასცალო ამ გვარი თოფიო. მაგრამ მაინც ფიქრი არ არის, თუ ყველას თითოეულად მალე არ დაურიგდებაო, რადგანაც ჯერ ეხლავე რომ ცოტა ვსთქვათ იმდენსა აქვს უკვე დარიგებული, რამდენსაც გერმანიაში ექმნებაო.

ავსტრი-უნგრია. ავსტრი-უნგრია ხომ ფაცი-ფუცობს და ფაცი-ფუცობს. მას უკან, რაკი ბისმარკმა ამ სახელმწიფოს ბალკანებისაკენ გაუშვირა ხელი, ავსტრი-უნგრია მოსვენებით აღარ არის და ხან ერთს ბალკანიის სახელმწიფოსაკენ გაიწევს ხოლმე ხელს და ხან მეორესაკენ. ეხლა უფრო დიდს ამბავშია ავსტრი-უნგრია. ბისმარკისა და გრაფ კალნოკის მოლაპარაკებამ კისინგენში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თურმე გაზეთებ შორის. ახლა კიდევ გერმანიისა და ავსტრია-უნგრიის იმპერატორების მოლაპარაკებას მოელიან გაშტეინში. ერთი ნემეცური გაზეთი ამბობს, ზომ ყოველთვე ეს ამტკიცებს, რა მეგობრული და მოყვარული დამოკიდებულება ჰსუფევს ამ ორს სახელმწიფოს შორისაო.

ავსტრიის გაზეთები ამბობენ, რომ ბულანჟეს ქცევამა და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ სამხედრო მინისტრი ძალიან საყვარელი კაცი შეიქმნა საფრანგეთშიო, ასე რომ ამ კაცს შეუძლიან საფრანგეთის უმრავლესობა მიიმხროს და გაიტაცოსო, ბერლინი ძალიან დააფიქრაო, ეტყობა, ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოსალოდნელიაო. ამბობენ ზოგიერთი გაზეთები რომ გერმანია ავსტრიის მომხრეობასაც არა სჯერდება და იტალიასთანაც უნდა დამეგობრებაო.

ბიბლიოგრაფია

ამ ორიოდე წლის წინად გამოვიდა სომხურად დაბეჭდილი აღწერა «სისუანისა», ხმელთა შუა ზღვის ნაპირას, ჰალაბის (ალეპპოს) ვილაიეტში მდებარე ადგილისა, სადაც ზეითუნის მთებია. ეს თემი დასახლებულია სომხობით და ერთს დროს სომხეთის სამთავრო იყო. ეს თხზულება შესანიშნავი სამეცნიერო თხზულებაა. ამ წიგნში მრავალი ისტორიული, გეოგრაფიული, არქეოლოგიური ცნობაა ამ მხარეზე. შემკულია მრავალის სურათებით და ნახატებით. ეს თხზულება დაუწერია ვენეციის წმინდა ლაზარეს მონასტრის ბერს მამა ლევონდ ალიშანს, რომელიც სომეხთ კათოლიკე მონასტერში სცხოვრებს სხვა ბერებთან ერთად, რომელნიც დიდი მოღვაწენი არიან სომხურის ენისა, მწერლობისა და ისტორიისა და მრავალს წიგნებსა ჰბეჭდავენ თვით მონასტერში გამართულს სტამბაში. ამ ქამად მამა ალიშანი, სომხურის გაზეთის „მშაკის“ სიტყვით, შესდგომია „არარატის“ თემის აღწერასა, ესე იგი იმ თემისას, სადაც ერევანი და მის გარეშემო მაზრა მდებარეობს არარატის მთასთან. ეს სამეცნიერო თხზულება იქნება არარატის თემის ყოველ-მხრივი გამოკვლევა: ისტორიული, ეთნოგრაფიული, არხეოლოგიური, იქნება განმარტებული პოლიტიკური წარსული და აწმყო მდგომარეობა. გაზეთი ამბობს, რომ ამისთანა პატივცემულ მშრომელს, რასაკვირველია, დახმარება ეპირებაო და ვისაც მოეპოვება ყოველივე გამოსადეგი სამეცნიეროდ წერილმანი რამ ძველადგან დარჩენილი, ხელ-ნაწერი, წიგნები და წერილები, ძველებური ნივთები, ფულები, სურათები და სახეები, ხელ-საქმე და სხვანი-და-სხვანი, რაც კი ამ ერევნის მხარეს შეეხება, ეს ყველა გაუგზავნონ მამა ალიშანს შესამუშავებლადაო. ამბობენ, რომ «არარატის თემის» აღწერა უფრო მოზრდილი წიგნი იქნებაო. ჩვენ, ქართველების მხრითაც, საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ საგანს, რადგანაც ბევრი რამ საქართველოს ისტორიის შესახები უეჭველად მოჰყვება არარატის ისტო-

რიაში, რადგანაც მრავალი ისტორიული ამბავი და შემთხვევა საქართველოსი და სომხეთისა ამ ადგილს ერთად მომხდარა და მჭიდროდ არის შეკავშირებული. შორს რომ არ წავიდეთ, ერეკლე II დრო მოვიგონოთ. უეჭველია ბევრი რამ დარჩებოდა როგორც ერევნის მაზრებში, ისე საქართველოშიაც გაფანტული არარატის თემის შესახებ ქართულ ენაზე ნაწერი დოკუმენტები, სიგელები ანუ წყალობის წერილები, აგრეთვე ზეპირ თქმულება და იქნება ნივთეულებანიცა. მამა ალიშანს „სისუანის“ აღწერაში, როგორც ბერძნული, არაბული, ანუ სხვა ენების დოკუმენტები აქვს დაბეჭდილი და მოყვანილი; უეჭველია თუ შესანიშნავი რამე შეხვდა, ქართულადაც დაბეჭდავს. ამიტომ დახმარება როგორც სომეხთაგან, აგრეთვე ჩვენ ქართველთაგანაც, სასურველია და საჭირო. ადრესი მამა ალიშანისა. ვენეტიქს, წმინდა ლაზარეს მონასტერში მხითარისა.

Venedic. S.-Lasar. L.Alichan.

პ.

* * *

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ მისცეთ ადგილი გაზეთ „ივერიაში“ ამ ჩემს მცირე შენიშვნას.

„ივერიის“ №154-ში იყო დაბეჭდილი სოფელს წევიდამ გამოგზავნილი წერილი, ვითომც წევაში არ არის პირველ-დაწყებითი სკოლა, რომ ცოტა ოდენი განათლება მიიღონ ბავშვებმაო და სხვა-და-სხვა. საკვირველია, ასე რამ დაუხუჭნა თვალები შენიშვნის დამწერს, რომ ს. წევაში 1868 წლიდამ, მინამ ქუთაისის დირექცია დაარსდებოდა, გამართული იყო სკოლა, დღესაც არსებობს იგი ს. წევაში და რიგიანად მიდის სწავლის საქმე.

არც ერთს სასოფლო სკოლაში არ დაიარებიან იმდენი შეგირდები, რამდენიც წევის სკოლაში, რადგან ხედავენ, რომ სწავლა რიგიანად მიდის. ასრე გასინჯეთ, სხვა შორეულ სოფლებიდამაც კი მოჰყავთ წევის სკოლაში ბავშვები სასწავლებლად.

დღემდის წევის სკოლა ნაქირავებს სახლებში იყო გამართული და ეხლა კი სასულიერო მთავრობის განკარგულებით ეკლესიის გალავანში უნდა აშენდეს ნორმალურის სასწავლებლის მსგავსი სკოლა და ეკლესიის ფულიც უნდა მოხმარდეს სკოლის აშენებისთვის. საკვირველია, რამ ათქმევინა შენიშვნის ავტორსა ასეთი სიცრუე; ესრეთი აშკარა ტყუილი რამ დააწერინა.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთ ამ გვარს ყაბ-ბატონებს შეცდომაში შეჰყავთ რედაქცია და მკითხველებიცა.

შორაპნის მაზრის სოფელ წევის
წმ.გიორგის ეკლესიის მღვდელი
მაკარი გაჩეჩილაძე.

* * *

დეპეშა

18 ივლისს

პეტერბურგი. გამოცხადდა დებულება, რომ ცხრა დასავლეთს გუბერნიებში მოაწყონ ყოფა-ცხოვრება სამუდამო ჩინშევიკებისა (ხიზნებისა).

გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული დებულება მინისტრთა კომიტეტისა, რომ არ გამოიყვანენ ჯარში იმათ, ვისაც ერგოთ ჯარისკაცად წასვლა და შინ არიან დატოვნილნი ხელ-ახლად მოწოდებამდეო, და განთავისუფლებულ იქმნებიან სახელმწიფო მილიციაში სამსახურისაგან, თუ საგლეხო საქმეთა „პრისუტსტვიებში“ ემსახურებიანო არხანგელსკის, ვოლოგოდის, ტომსკის და ტობოლსკის გუბერნიებშიო; განთავისუფლებულ იქმნებიან წევრნი საერო სამართლოებისა და აღმასრულებელნი ციმბირის გუბერნიებში სამთო „ისპრავნიკების“ თანამდებობისანიო, აგრეთვე უჩასტკის ზასედატელებიო.

ოდესა. აქ მობძანდა ამალით საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე და მისი ძმაო.

* * *

„ივერიის“ ფოსტა.

ს. წ—ს. ტ—ი გ—ძეს. თუ თქვენი თავი არ გებრალებათ, ჩვენ მაინც შეგვიბრალეთ და ნუღარ შეგვაწუხებთ თქვენის უთავბოლო და სიცრუით სავსე ამბების კითხვით. საკვირველია, ღმერთმანი, სიმართლისთვის რას გაძლევენ, რომ ტყუილისთვის რა მოგცენ. თუ მაინცა და მაინც არც თავს შეიბრალებთ და არც ჯიბესა, თქვენი ნებაა; ჩვენ კი თქვენს ნაწერებს დღეის შემდეგ ადგილს ვეღარ მივცემთ.

ქ. ქ—ს ფ—ნს. თქვენი წერილი გაზეთში დასაბეჭდად არ გამოდგა; ვისარგებლეთ კი საკვირაო ფელეტონისათვის და ამაზე ნუ შეგვრისხავთ.

ქ. ო—სა, ს—ს ფ—ვას. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—ჳჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

20 დღე კვირა. წმ. ილია წინასწარ.-მეტყ. კათოლ. მე-7 კვირა სულთ-მოფენობის შემდეგ. წმ. ალმსარ. ცესლავისა. სომეხ. გარდავარი (ფერის-ცვალება უფლისა). მუსულ. 1 რიცხვი ზილ-კაადეს თთვისა 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—5. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18; მთვარე ამოდის 7—26, ჩადის 7—48.

21 დღე ორშაბათი. ღირს. სვიმეონ სალოსისა და წინ.-მეტყ. იეზეკიელ. კათოლ. წმ. ალმსარ. გერონიმასი. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი (ხსენება მიცვალებულთა). ჭეშმარიტი შუა-დღე. 12—6—1. ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 7—16 მთვარე ამოდის 8—39, ჩადის 8—28.

* * *

გამოსადეგი ცნობანი
ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	2½ ›
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ›
მე-2 ხარისხისა	3½ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი	7 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	35	**ბათუმი**	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოითი	11	14	11	16
გორი	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კოპიტნარი	12	35	12	37
ხაშური	12	21	12	41	**რიონი**	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	24	1	27	**ყვირილა**	2	11	2	26
ბეჟათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარელისი	3	3	3	5	ბელაგორი	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	12	6	15
რიონი	5	49	6	4	**ხაშური**	6	27	6	42
კოპიტნარი	6	34	6	36	გომი	6	59	7	3
სამტრედია	6	56	7	16	ქარელი	7	27	7	30
საჯავახო	7	31	7	33	**გორი**	7	59	8	9
ნიგოითი	7	56	7	59	გრაკალი	8	32	8	34
ლანჩხუთი	8	10	8	14	კასპი	8	54	8	57
სუფსა	8	47	8	55	ქსანი	9	22	9	24
ნატანები	9	19	9	22	მცხეთა	9	42	9	48
ქობულეთი	9	48	9	51	ავჭალა	10	6	10	8
ბათუმი	10	41	—	—	**ტფილისი**	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჭალა	3	38	3	41	**ხაშური**	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	**გორი**	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი	6	28	6	43	კასპი	6	13	6	19
ქარელი	7	24	7	29	ქსანი	6	54	6	57
გომი	8	3	8	7	მცხეთა	7	23	7	33
ხაშური	8	31	8	46	ავჭალა	7	58	8	1
სურამი	8	58	—	—	**ტფილისი**	8	24		

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეხუთე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

1886—87 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა სანგარიშო ჩოთქით**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა გარკვეული და შნოიანი**.

სწავლა დაიწყობა 15 სექტემბრიდამ, ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყობა 25 აგვისტოდამ ყოველ დღე საღამოს 5 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, **სოლოლაკში, ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 11.**

პროგრამები და წესები კურსებისა **უსასყიდლოდ** შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქ გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს ტფილისს.** (11—2)

ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი გამოცემა რუსულ-ქართული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

თითო ეგზემპლიარი ღირს 3 მან. და 60 კაპეიკი, გაგზავნით 4 მან. (3—2)

„თეატრი“.

საყოველ-კვირაო ლიტერატურული გაზეთი განაგრძობს მეორე ნახევარის წლის ხელის მოწერას

წლიური ფასი	5 მან.
ნახევარ წლიური	3 მან.

სხვა გვარად ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა და განცხადებები მიიღება **მხოლოდ** ქ. თბილისში—**რედაქციის კანტორაში**, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 110.

ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ამ ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Тифлисъ, Въ редакцію газеты „Театръ“

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერი 3 გუნია. (3—2)

ყრმათა საკითხავი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიური დამატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის.

1884-სა და 1885 წლის ყველა წიგნები, 17 № (10 წიგნი) ერთად ღირს—ქალაქში 3 მანათი, ქალაქს გარეთ გაგზავნით 3 მან. და ათი შაური. ათი შაური შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს. ადრესი: Тифлисъ. А. С. Гуладзе, Сололаки Фрейлинсая, 7.

ისყიდება მოსე ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** ჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. ლამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл-ул, Г. Д. Картвѣлишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] შაურად.

Дозволено цензурою Тифлисъ 17 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.